მხატვრული ტექსტის შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა *20.* თუ დავალება **არაადეკვატურადაა გაგებული** ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ **აზრის გაგება ჭირს,** *<u>დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება</u>*.

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალება ***ადეკვატურადაა*** გააზრებული.	2
2.	დავალება ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გააზრებული.	1
3.	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული.	0 ნაწერი აღარ სწორ-დება

II კრიტერიუმი

№	*ტექსტის ორგანიზება*	*ქულები*
1.	ტექსტი ***კარგადაა*** ორგანიზებული.	2
2.	ტექსტი ***სათანადოდ არ არის*** ორგანიზებული.	1
3.	ტექსტი ორგანიზებული ***არ არის.***	0

III კრიტერიუმი

№	*მხატვრული ტექსტის სტრუქტურა*	*ქულები*
1.	მხატვრული ტექსტის სიუჟეტი ***საინტერესო და ორიგინალურია; გამოკვეთილია*** პერსონაჟის (პერსონაჟთა) ქცევის მოტივაცია.	4
2.	მხატვრული ტექსტის სიუჟეტი ***საინტერესო და ორიგინალურია; მეტ-ნაკლებად არის გამოკვეთილი*** პერსონაჟის (პერსონაჟთა) ქცევის მოტივაცია.	3
3.	მხატვრული ტექსტის სიუჟეტი ***ნაკლებად საინტერესოა და ორიგინალური არ არის; მეტ-ნაკლებად არის*** **გამოკვეთილი** პერსონაჟის (პერსონაჟთა) ქცევის მოტივაცია.	2
4.	მხატვრული ტექსტის სიუჟეტი ***ნაკლებად საინტერესოა და არ არის*** **გამოკვეთილი** პერსონაჟის (პერსონაჟთა) ქცევის მოტივაცია.	1
5.	მხატვრული ტექსტის სიუჟეტი ***შაბლონურია, არ არის*** **გამოკვეთილი** პერსონაჟის (პერსონაჟთა) ქცევის მოტივაცია.	0

IV კრიტერიუმი

№	*შემოქმედებითი უნარი და მხატვრული ოსტატობა*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მოსწავლის შემოქმედებითი ნიჭი, სათქმელის მხატვრულად გადმოცემის უნარი; ეფექტურადაა გამოყენებული მხატვრული საშუალებები.	3

2.	ნაშრომში გამოვლინდა მოსწავლის შემოქმედებითი უნარი, მაგრამ მხატვრული საშუალებები ყოველთვის ვერ ახდენს სათანადო ეფექტს.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მოსწავლის შემოქმედებითი უნარი, მხატვრული საშუალებები არ არის სათანადოდ შერჩეული და ვერ ახდენს სასურველ ეფექტს.	1
4.	ნაშრომში ***ვერ*** გამოვლინდა მოსწავლის შემოქმედებითი უნარი.	0

V კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***შერჩეულია*** შესაფერისი სტილი, აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში ***შერჩეულია*** შესაფერისი სტილი, აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტური ხარვეზი.	1
4.	ნაშრომი ლექსიკურად და სტილისტურად ***გაუმართავია.***	0

VI კრიტერიუმი

№	*სინტაქსი*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ***ერთზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	3
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	2
3.	ნაშრომში დაშვებულია ***სამი*** სინტაქსური შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***სამზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***სამზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0